

## უცხოური ენების პრაქტიკოს მასწავლებელთა საგნობრივი ტესტის ახალი ფორმატი

2016 წლის ზაფხულის სესიის უცხოური ენების მასწავლებლის ტესტი შედგება კითხვის, მოსმენის, წერის და ლაპარაკის დავალებებისაგან. შესაბამისად, ტესტი ენობრივი კომპეტენციის შესამოწმებელი ტესტია. ტესტის ენობრივი სირთულის დონე არის B2 (საშუალოზე მაღალი). ტესტში არის როგორც დახურული. ისე ღია სახის საკითხები. მოთხოვნები შეესაბამება მასწავლებლის სტანდარტს.

გასულ წლებთან შედარებით ტესტში არის რამოდენიმე სიახლე, კერძოდ:

1. ამოღებულია მეთოდიკის საკითხები.
2. დამატებულია წერის დავალება, რომელიც გულისხმობს მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით სამოტივაციო წერილის დაწერას (იხ. ტესტის ნიმუში, მე-7 დავალება).
3. კითხვის ზოგიერთ დავალებაში გაზრდილია ან შემცირებულია საკითხების რაოდენობა (იხ. ტესტის ნიმუში, დავალებები 3, 5, 6). შეცდომების გასწორების დავალება უშუალოდ უკავშირდება რა ტექსტის გაგებას, ტესტის კითხვის ნაწილშია გაერთიანებული.
4. ტესტის ჯამური მაქსიმალური ქულა არის 90; შეცვლილია როგორც მთლიანი ტესტის გამსვლელი ქულა, ისე შიდა ბარიერები ტესტის კითხვის და წერის ნაწილებში.

**მთლიანი ტესტის სტრუქტურა შემდეგია:**

მოსმენა:	2 დავალება;	მაქსიმალური ქულა 16
კითხვა:	4 დავალება;	მაქსიმალური ქულა 36
წერა:	2 დავალება;	მაქსიმალური ქულა 22
ლაპარაკი:	3 დავალება;	მაქსიმალური ქულა 16

### მინიმალური ზღვრები და გამსვლელი ქულები

	მაქსიმალური ქულა	გამსვლელი ქულა
მთლიანი ტესტი	90	55
მოსმენის ნაწილი	16	6
კითხვის ნაწილი	36	12
წერის ნაწილი	22	8
ლაპარაკის ნაწილი	16	6

გამოცდა რომ ჩაბარებულად ჩაითვალოს მასწავლებელს გადალახული უნდა ჰქონდეს 5-ვე მოთხოვნილი ზღვარი: მთლიანი ტექსტის, მოსმენის, კითხვის, წერის და ლაპარაკის ნაწილებში.

**დავალებების სახეები და ქულათა განაწილება დავალებების მიხედვით**

რა მოწმდება	დავალების ინსტრუქცია	საკითხების რაოდენობა	ქულა ერთ საკითხში	მაქსიმალური ქულა
1. მოსმენა	მოუსმინეთ ტექსტს და გამოტოვებული ადგილები შეავსეთ სათანადო ინფორმაციით.	12	1	12
2. მოსმენა	მოუსმინეთ ჩანაწერს და მოცემული წინადადებები მიუსადაგეთ ოთხი მოსაუბრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.	4	1	4
3. კითხვა	წაკითხეთ წინადადებები და განსაზღვრეთ სწორია ისინი, თუ მცდარი. მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელშიც წინადადებების სისწორე/სიმცდარის დამადასტურებელი ინფორმაციაა მოცემული.	10	1	10
4. კითხვა	შეავსეთ ტექსტი წინადადებებით.	6	1	6
5. კითხვა/სიტყვათწარმოება	წაკითხეთ ტექსტი და ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩასვით სწორ ფორმაში.	10	1	10
6. კითხვა/შეცდომების გასწორება	წაკითხეთ ტექსტი. გაასწორეთ შეცდომები და მიუთითეთ შეცდომების ტიპი.	10	1	10
7. წერა	მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწერეთ სამოტივაციო წერილი.	1		6
8. წერა	დაწერეთ თხზულება.	1		16
9. ლაპარაკი	უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს; იმსჯელეთ მოცემულ თემაზე ან სიტუაციაზე.	5		16
<b>ჯამური მაქსიმალური ქულა</b>				<b>90</b>